ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1307

# საბჭოთა ხელოვნება

1980 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეილა ბეროშვილი

# ზამთარი

## ერთმოქმედებიანი პიესა

(ხირხალა გაუხდელად გულაღმა წევს ტახტზე. ხელები თავქვეშ ამოუწყვია, თვალი ჭერისთვის გაუშტერებია. ფიქრობს).

— ეხლა საცაა თოვლ ჩამოჰყრის... შეშაი სუ კარ წინ დაგიწყობ წვრილად დაკუწულს, წყალს დღეში ორჯერ ამოგიზიდავ საკოკეებით. მერე დავკლათ ჩვენი დიდი ღორი, ჩავდოთ, დავამარილოთ და ჩამოჰფიფქავს კიდეცაა... შენ არ გიყვარს თოვლი? რას ამბობ, რო გადაიბურება გალმა სერები, რო გადათეთრდება ყველაფერი, რა სჯობია იმის ყურებას!.. ჰო, კიდევ, ჩირის კომპოტი მოვხარშოთ ხოლმე დიდი ქვაბით, ვწრუპოთ და ვუყუროთ ფანჯრიდან ზამთარს...

უცბად გამოერკვა ოცნებიდან ხირხალა, ფეხზე წამოვარდა და ტელეფონს ეცა. ნომრები აკრიფა, ცოტა ხანს უცადა ზარს, მერე იკითხა: — რომელ უჭირავ „ტრუპკა?“ მაიხედე აქეთ, 3—20-ია?

ხირხალა ყურმილს კიდებს, ისევ კრეფს ნომერს.

— 3-20-ია? შენა ხარ, ქეთო? (ხირხალა ოდნავ დამშვიდდა) ხმა ამოიღე, ქალო, შენა ხარ, ხო ვიცი, სიჩუმეზე გიცან. (ხირხალა შეყვარებულის სიმშვიდით ამბობს) სიჩუმეზე გიცან, ქეთო! შენსავით ვერავინ გაჩუმდება, მე ხო ვიცი. შენი სიჩუმით მოპირთავდა აქაურობა. სიჩუმეზე გიცან მეთქი, ქალო!...

ქეთო განაზებული, მორიდებული ნიავივით დგას ყურმილთან.

ქეთო. თქვი, ხირხალ, რა გინდა?

ხირხალა. რა ჰქენ, ქეთო, გამამიტანე განაჩენი? ჰა, თქვი, სიკვდილი თუ სიცოცხლე?!

ქეთო. ვერა ხირხალ, რა ვქნა, გული ვერ დავითანხმე, გადაკეტილი მაქვს, ეტყობა, გულის კარები. ამოდენა ლოდინს ველარ გაუძლო გულმა და ეხლა გადაკეტილია ყველაფრისთვის.

ხირხალამ თავი ჩაჰკიდა, მერე მორჩილად უთხრა.

ხირხალა. ქეთო, ხვალე, შებინდებისას გადმოვალ, ვცადოთ, იქნება გამოვიდეს რამე.

ქეთოს მიუხედავად დიდი სურვილისა, ძალიან უჭირს „ჰოს“ თქმა, ხმას ვერ იღებს.

ხირხალა. (ღრიალებს) ხმა ამოიღე, ქალო, ნუ გამაგიჟე!

ქეთო. (მორცხვად) გადმოდი, ღობე როა ჩატეხილი სახლს უკან, იქიდან გადმოდი, ნურავის კი ნუ დაენახვები, ნუ დამმარხავ ცოცხლად! — შვების მომგვრელ ცრემლს მოიწმენდს ქეთო.

— შენ დახათრიჯანდი, ქეთო, მე ვიცი და ჩემმა გუმანმა.

(ქეთო ყურმილს კიდებს. ბედნიერებისგან გაოგნებული ხირხალა კედელს თავით დაეჯახება, იქვე ჩაჯდება).

ხირხალა. ე რა ყოფილა სიყვარული, ხალხნო, — ჯიგარი მეწვის!

(ქეთო ხინკლის ცომს ზელს. საგანგებოდ დატალღული თმა, წითლად შეღებილი ტუჩები. ჭიშკრისკენ წამდაუწუმ გაპარული მზერით ვხვდებით, რომ ქეთო ვიღაცას ელოდება. ოთახში ხალიჩა გადაფარებული მუთაქებიანი ტახტი დგას).

— ქეთო! — (დაიძახა ვიღაცამ. ქეთომ იცნო ბაბულა).

— იდროვა ამ ქალობა გასახუნებელმა! (გამწარდა ქეთო, ბაბულა უკვე კარების წინ დგას. დიდუჯრებიანი შალი აქვს წამოსხმული და ქშენა-ქშენით იხდის კალოშებს. ქეთო გამოეგება).

— მოდი, რა შორიდან იძახი? მოდი, ქალო, მოდი, ნუ იხდი!

ბაბულა წინდებიანი ფეხით შევიდა:

— მოვიდა ზამთარი და ეხლა ეგრე უნდა შაგვიჭამოს გული!.

ხინკლის დანახვაზე გაიოცა:

— ნეტა არ გეზარებოდა მარტოკას ხინკლის გაკეთება? — თან გულზე ხელი უდევს: — იგრე დავიღალე, იგრე, ლამის გული ყარფუზივით გასკდეს და გადმოვარდეს...

ქეთო. რა მოგარბენინებდა, ნელა ვერ იარე?

ბაბულა. (აწუწუნდა) დავიღალე ქეთო, მარტოობით დავიღალე. ზიხარ ოთხკედელშუა და ათას ფიქრსა და დარდს ეჭმევინები. ამოდენა გამიხდება ხოლმე თავი (ხელებით უჩვენებს) ძნელია ზამთარში მარტოობა.

— ეეჰ, ჩემო ბაბულ, მარტოობა ზამთარშიაც ძნელია და ზაფხულშიც. (თან ორივე ხინკალს აკეთებს).

— ზაფხულში გარეთ გამოხვალ, იმას დაინახავ, იმას გამოელაპარაკები, ბოსტანში გახვალ... ეხლა: რო ღამდება გული სუ რაღაცას მიშვრება, თან არ გინდა იმ გაყინულ ლოგინში ჩაწოლა? ძლივს ვითბობ ხოლმე ფეხებს, — ამბობს ბაბულა.

—აგური ქალო, აგური იქონიე ხოლმე „ფეჩზე“, მერე გამოახვიე თავშალში და ჩაიდე ლოგინში. მე უმაგისოდ რა გამაძლებინებს, ყოველ ღამე აგურის იმედითა ვწვები. — დაარიგა ქეთომ.

— ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს, ქეთო, მაგრამ ძნელია აგურის იმედით ცხოვრება, ფეხს კი გითბობს, მაგრამ გული, გულსაც აგურით ხომ ვერ გაითბობ? — უპასუხა ბაბულამ.

ქეთო მალიმალ იხედება ღობისკენ და ნერვიულობს.

— ეე, ჩემო ბაბულ, შენ იმას მაინც იტყვი, გათხოვილი ვყოფილვარ როდისმეო, თვალი ჩემსავით გაუშლელად მჭკნარ ყვავილს დაუდგეს, თორემ შენ ავიც გინახავს და კარგიც.

(ქეთო მოუსვენრად იყურება გარეთ, ერთი ორჯერ ბაბულამ თვალი გააყოლა ქეთოს მზერას, მაგრამ ვერაფერი შენიშნა სავარაუდო).

— შენც მართალი ხარ. რატო პატრონი არ მოუკალ, მეოთხედაც არ გავთხოვდი, იქნება ბედსა ვწეოდი...

ეხლა როგო იყო სვიმანას რო გავყე: (ტუჩის კუთხეები გამოიწმინდა დაკაპიწებული ხელით და დაიწყო) იგრე შავი იყო, დაბალი, მაგრამ თვალების შემოცეცება იცოდა ისეთი, ტანისამოსიანად ვიწვებოდი. ხო შავი და დაბალი იყო, თვალებით მომიდარიელა. ერთიც ვნახოთ ველისციხელები მოვიდნენ „ლილეინკით“, მოიყვანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ლონდრე. ხელი როგორც ჩამამართვა, იმ წუთას გავიფიქრე, — არა მეთქი! მოსატანი კი მეეტანათ. ლაკის ფეხსაცმელები, თავის თეთრი „ნასკვებით“, ოქროს საათი თავის სამაჯურით, „კასინკა“, „რედიკული“, ორი ბეჭედი. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ამეებს როგო შეველიო სვიმანას თვალები გულისთვინა მეთქი, მაგრამ მეორე დღეს გედემეყარა და ყველაფერი დამავიწყდა. ის ღამე იმათ ვენახი ბოლო, თივი ზვინზე გავატარეთ. ერთი კვირა იქა ვცხოვრობდით. მაშინ ყველაზე ბედნიერი ვიყავ, ქეთო, გენაცვალე!... თივი ზვინი დაანახვა. ეხლაც ვერ ვიტან. გოგო, ხოოდა, (გამოისვა ისევ ხელი ტუჩებზე) მამაჩემმა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, არ დამაყენა და მიმგვარა იმ ველისციხელ, — კოტე ერქვა. მაყვალ, მაყვალ, მაყვალ, დავშრი წყაროს წყალივითა იმ არ გასახარებელის ხელში. ყველაფერი წონა-ზომით იყო იმათ სახლში: ქონი მეტი მამივიდოდა ქვაბში, თვითონ დაიჭერდა დედაკაცივით კოვზ ხელში და ამააკლებდა. მეზობელ რამე ვათხოვებდი და ჩალურჯდებოდა სიბრაზით. იჯდა ჭამიდან ჭამამდე და იპურჭყებოდა. მით უფრო ვერ დავივიწყ სვიმანა, ფიქრში სუ ვღალატობდი.

— მესამემ რაღა დაგიშავა? (ღვარძლით იკითხა ქეთომ).

— იმან კიდე, რა ვი, ქა, ნათესავები გამოვდექით (ქსოვას უმატა ბაბულამ).

(ქეთო უცბად გაფითრდა. ჩამტვრეულ ღობეზე ხირხალამ გადმოალაჯა. ბაბულამ გაფითრებულ ქეთოს შეხედა და თვითონაც გაიხედა. ხირხალა აივნის კიბეს მოსდგომოდა, იღლიაში ხოკერა გოგრა ამოუჩრია).

ქ ე თ ო. (არ დაიბნა) ამას აქ რაღა უნდა ამ უდროოდროს, ვინმემ რო დაინახოს, ხო უნდა დამდონ შარაზე. საცა ვინმეს ფეხი აუცდება, ჩემ ეზოში უნდა გაადინოს ბრაგვანი. რაღა ვქნა ეხლა? მოდი უთხარი, ქეთო თონის ფიჩხისთვის წავიდა „ბოლოში“-თქო. მარტოს რო გნახავს, გაბრუნდება და წავა.

ქეთომ საწოლის ქვეშ სტკუცა თავი. ხირხალამ გვერდულად მხრით შეხსნა კარი და შევიდა. ოთახში ბაბულა რო დაინახა, გაიოცა.

ხ ი რ ხ ა ლ ა. ვაა, როგორა ხარ ბაბულ, როგორ?! ქეთო სადღაა?!

ბაბულა ხინალებს იღებს.

ბ ა ბ უ ლ ა. თონის ფიჩხზე წავიდა, დააგვიანდება ჯერ.

ორთქლადენილ ხინკლებს უსხედან და ქეთოს ელოდებიან.

ხ ი რ ხ ა ლ ა. გოგრა მოუტანე, კაცო! ამის ყორეზე გაიზარდა, ეგრე უნამუსოდ ხო არ შევჭამდი?

ბ ა ბ უ ლ ა მა რაა, კარგი გიქნია, ცოდოა, მარტოხელა ქალია.

ხირხალას გოგრა ისევ იღლიაში აქვს ამოჩრილი და ყინჩადა ზის თავის დარდებში ჩაფლული. ბაბულა წინდასა ქსოვს. ორთქლი ასდის ხინკალს. ხან ერთი ჩაახველებს, ხან მეორე... ქეთო საწოლის ქვეშა წევს და სასოწარკვეთილი იყურება.

ბ ა ბ უ ლ ა. მომბეზრდა მარტოობა და გადმოველ, მარტოობაზე ძნელი არაფერი ყოფილა.

ხირხალამ ღვინო ჩამოისხა და გადაჰკრა.

— ძნელია მაშ, კაცო! რად დადიხარ მერე ეგრე ცალრქა ირემივითა. შენ გულის კარები გამოკეტილი არ გექნება, მე ხო ვიცი.

ბ ა ბ უ ლ ა. გულის კარები კი ღია მაქვს, მაგრამ სადა ნახავ ეხლა სანდო კაცს. გახსოვს ხირხალ, (ცბიერად გამოხედა ბაბულამ) როგორი გოგო ვიყავ? მაშ ამის ღირსი ვიყავი, რო ეგრე მინდვრის თაგვივით დავრჩენილიყავ ბოლოს?... მაშ ერთი წესიერი ადამიანი აღარ მეკუთვნოდა? (თავშლის ბოლოთი მოიწმინდა ცრემლი).

ხ ი რ ხ ა ლ ა. როგორ არ მახსოვს, შენ რო ამაივლიდი, ფოთლები შრიალს ამოგაყოლებდნენ ხოლმე, რა წელი გქონდა, როგორ მიილეწებოდი...

გვერდი იცვალა ქეთომ საწოლის ქვეშ, კედლისკენ გადაბრუნდა.

ბ ა ბ უ ლ ა: ცოცხალია ნეტა ის ქალი?

ხ ი რ ხ ა ლ ა: რა გასაკვირია, რო ცოცხალი იყოს. მოდი დავიწყოთ. ცივი ხინკალი რაღად მინდა. ყვავი ღირსი არ იყო და ალდგომას ვერც შეესწროო...

ქეთომ ისევ იცვალა გვერდი. აქეთ გადმობრუნდა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა. ხირხალა და ბაბულა ქეიფობენ. ჭიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს.

ხ ი რ ხ ა ლ ა. ამით, ბაბულ, ქეთოს გაუმარჯოს, რომელიც ვინ იცის, ეხლა სად ილადრავს ხელ-ფეხს თონის ფიჩხისთვის. ქეთოს გაუმარჯოს თავის მოღლილი გულითა და სიყმით! (ხირხალამ ჭიქა გამოსცალა).

ბ ა ბ უ ლ ა. გაუმარჯოს ქეთოს წმინდა კერას! — (სვამს). მალამოა, რა არი ეს დალოცვილი.

ხირხალამ სიმღერა შემოსძახა:

შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი
მე გული მტკივა, მომე წამალი,
მინდა ქვეყანას გავაგებინო, ლამაზო,
რომ შენი ეშხით მე ვარ დამწვარი...

ქეთომ თვალები ჭყიტა. ხირხალა ბაბულას უფრო ახლოს მიუჯდა.

ბ ა ბ უ ლ ა. ხო იცი, ხირხალ, პირველკლასიდან მიყვარდი, გახსოვს, კოკა რო ჩამიმტვრიე? რა შეუბრალებელი იყავ!

ქეთო სულ გადაირია.

ხ ი რ ხ ა ლ ა. რატო ერთხელ მაინც არ წამოგცდა, რათ დაიდე ჩემი ცოდო?

ქეთო პირჩაღმა გდია საწოლის ქვეშ.

ბ ა ბ უ ლ ა. ვერ გაგიბედე, ხირხალ!—

ატირდა ბაბულა.

ხირხალამ ღვინო დაასხა:

— გაუმხელელ სიყვარულს გაუმარჯოს, ბაბული!

ბ ა ბ უ ლ ა. გაუმარჯოს!

ხ ი რ ხ ა ლ ა: მიყვარხარ, ბაბულ! (პირი მოიწმინდა ხირხალამ) ნუ გეშინიან, თუ აქ არ მოგვიხერხდა ცხოვრება, რუსეთში წაგიყვან.

ბაბულა ცრემლად იღვრება. ქეთო ახლა აქეთ გვერდზე გადაბრუნდა და უკვე გამოგლოვილი გულგრილად შეჰყურებს მიჯნურთ.

ხირხალამ ბაბულა ხელში აიტაცა და სწორედ იმ საწოლისკენ მიჰყავს, რომლის ქვეშაც გაუბედურებული, ყველაფერს შეგუებული ქეთო წევს.

ბ ა ბ უ ლ ა. არ დამღუპო, ხირხალ! ნუ დამიბნელებ მზეს, ვიდრე ხელს არ მოვაწერთ, ვერ დაგნებდები.

ხირხალამ შეისმინა ქალის ვედრება. იქვე, იმ საწოლზე ჩამოსვა ბაბულა, ჯიბიდან ხავერდის კოლოფი ამოიღო და ბაბულას მარჯვენა ხელზე ბეჭედი გაუკეთა. ბაბულას ცრემლები ჩამოსცვივდა.

ხ ი რ ხ ა ლ ა. ნუ გეშინიან, რუსეთში წაგიყვან, თუ აქ არ გვეცხოვრება.

ბ ა ბ უ ლ ა. სადაც მეტყვი, შენთან ერთად ჭერმის ტოტზე ვიცხოვრებ ხირხალ! — ნაზად მიეხუტა გულზე.

ხირხალამ მზრუნველად გადახვია ხელი და წავიდნენ. გოგრა იქ დარჩათ. გარეთ ხირხალას „ზაპოროჟეცი“ დგას. ორივენი ჩასხდნენ.

მშიერი, გაავებული ქეთო გამობობღდა. სატრფოს დაკარგულად თვლის და ისღა დარჩენია, ხინკალი მაინც ჭამოს, მაგრამ ხინკალი აღარ დახვდა.

— ცეცხლი ჭამა თქვენმა პირმა და მოუნელებელი! ერთი გახეთქილი ხინკალიც კი არ დაუტოვებიათ. მაშ იმის ღირსი აღარ ვიყავი, რომ ათიოდე ხინკალი მაინც შეგენახათ, ეგ არის თქვენი ადამიანობა?

ლამაზ სევდასავით ეხვევა სოფელს ბინდი.

ქეთოს ხელში უზარმაზარი კარაქიანი პური უჭირავს, გამალებული ჭამს და ტირის: — დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა.

მერე ლოგინი გაშალა, ცხელი აგური შეახვია თავშალში, საწოლში საბნის ქვეშ ამოდო, მერე სინათლე გამორთო, გაიხადა და დაწვა.